



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 14
08/10/2020

14-06-4-202010081151



დადგენილება N14
2020 წლის 07 ოქტომბერი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის
N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/12/2019; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.113.016402) და დადგენილებით დამტკიცებული დებულება ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დებულება თან ერთვის დანართის სახით).

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამ დადგენილებას თანდართული დებულების მე-18 მუხლისა.

მუხლი 3.

დადგენილებას თანდართული დებულების მე-18 მუხლი ამოქმედდეს 2020 წლის 5 ოქტომბრიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



